



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე

კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე (15.V.1910, სოფ. ხეთა, ხობის მუნიციპალიტეტი, - 31.12. 1989, თბილისი), სსრკ-ის სახალხო მასწავლებელი (1979), საქართვე. დამს. მასწავლებელი (1959). დაამთავრა თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1933). 1930-36 მუშაობდა ფიზ. მასწავლებლად თბილ. სხვადასხვა სკოლაში. 1941-43 იყო მე-17 საშ. სკოლის, 1943-იდან კი - ვაჟთა 24-ე საშ. სკოლის დირექტორი (1954- იდან - 77-ე საშ. სკოლა). კ. ავტორია ნაშრომებისა სკოლათმცოდნეობის და ფიზ. სწავლების მეთოდის დარგში. მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის სახ. მედალი, ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები. 1991-იდან თბილისის 77-ე საჯარო სკოლას კ-ის სახელი მიენიჭა.
